პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
მისალმება საქართველოს პროფესიული კავშირების
რესპუბლიკურ საბჭოს (1-ლი გვერდი).

საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საზეიმო პლენუმის მისალმება
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს (1-ლი გვერდი).

კ. ე. ვოროშილოვმა სადილი გამართა ხო ში მინის პატივსაცემად (1-ლი გვერდი).

პრეზიდენტი ხო ში მინი მოსკოვში (1-ლი გვერდი).

პრეზიდენტი ხო ში მინი მოსკოვიდან გაემგზავრა (1-ლი გვერდი).

საბჭოთა პროფკავშირების 50 წლისთავი (მე-2 გვერდი).

ოქტომბრის გზაზე. — პარტიის VI ყრილობის შემდეგ (მე-2 გვერდი).

ვ. გურგენიძე. — აღვკვეთოთ ტრაქტორების მოცდენა, დავაჩქაროთ თესლის მომზადება (მე-3 გვერდი).

საძეცნიერო თემაზე. — ა. ბუნნიკაშვილი. — საერთაშორისო გეოფიზიკური წლის დაკვირვებანი საქართველოში (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — ჯ. ძიძიგური. — ახალი ექსპერიმენტული ნაბრომი (მე-3 გვერდი).

საერთაშორისო თემაზე. — დ. ზავროევი. — ამერიკის შეერთებული შტატების ურკვევი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის გამოხმაურება საკდესის ცნობაზე (მე-4 გვერდი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის ქალაქის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Совьетов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოდის 38-ე წელი
№ 204 (10901)
ხუთშაბათი, 29 აგვისტო, 1957 წ.
ფასი 20 კაპ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲝᲠ ᲗᲕᲔᲖᲔ ᲪᲝᲢᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲠᲝ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲐᲛᲓᲔ — ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲔ-40 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲛᲓᲔ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲑᲛᲣᲚᲘ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲩᲐᲦᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲧᲝᲤᲔᲚᲗᲐᲝ-ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲡ ᲚᲐᲛᲤᲠᲝᲑᲐᲨᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲪᲓᲔᲚᲝᲑᲡ ᲓᲘᲡᲝᲜᲐᲜᲡᲘ ᲨᲔᲐᲥᲕᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲠᲗᲝ ᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ 15 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲜᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ 44 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲦᲘᲠᲘᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲓᲐᲐᲙᲚᲝ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲐᲛ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ.

ᲛᲐᲣᲓ-ᲙᲐᲛᲕᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲘᲥᲠᲝ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲐ, ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ 120.000 ᲛᲔᲢᲠᲘ ᲨᲐᲚᲘᲡ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲐᲙᲚᲝ ᲓᲐ 9 ᲐᲠᲢᲘᲙᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲑᲐᲚ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲡᲕᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲡ ᲒᲐᲜᲒᲚᲘᲚ ᲗᲕᲔᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲡᲮᲔᲕᲔᲜᲘᲡ 222.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲯᲐᲠᲘᲛᲐ. ᲡᲐᲤᲔᲘᲥᲠᲝ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲛᲔᲚᲣᲚ ᲠᲘᲒᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲣᲓ-ᲙᲐᲛᲕᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲡ. ᲔᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲐᲠᲪ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲝᲑᲘᲡ, ᲐᲠᲪ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲔᲑᲘ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲝᲓᲔᲚᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲚᲘᲚ ᲗᲕᲔᲔᲑᲨᲘ ᲣᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ 3.356 ᲬᲧᲕᲘᲚᲘ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲔᲡ. ᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲔᲯᲘᲑᲐᲜᲔᲑᲓᲐᲜ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲐᲛ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ.

ᲛᲐᲣᲓ-ᲙᲐᲛᲕᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲘᲥᲠᲝ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲐ, ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ 120.000 ᲛᲔᲢᲠᲘ ᲨᲐᲚᲘᲡ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲐᲙᲚᲝ ᲓᲐ 9 ᲐᲠᲢᲘᲙᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲚ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲡᲕᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲡ ᲒᲐᲜᲒᲚᲘᲚ ᲗᲕᲔᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲡᲮᲔᲕᲔᲜᲘᲡ 222.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲯᲐᲠᲘᲛᲐ. ᲡᲐᲤᲔᲘᲥᲠᲝ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲛᲔᲚᲣᲚ ᲠᲘᲒᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲣᲓ-ᲙᲐᲛᲕᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲡ. ᲔᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲐᲠᲪ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲝᲑᲘᲡ, ᲐᲠᲪ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲔᲑᲘ. ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲚᲘᲐᲜᲓᲐᲒᲨᲔᲛᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ, ᲩᲮᲘᲛᲔᲣᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ, ᲡᲣᲚ 15 ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲓᲘᲡᲝᲜᲐᲜᲡᲘ ᲨᲔᲐᲥᲕᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲠᲗᲝ ᲘᲡ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲔᲯᲘᲑᲐᲜᲔᲑᲓᲐᲜ ᲐᲠᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲐᲛ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ. ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲚᲘᲐᲜᲓᲐᲒᲨᲔᲛᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ, ᲪᲮᲘᲛᲔᲣᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ, ᲡᲣᲚ 15 ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲓᲘᲡᲝᲜᲐᲜᲡᲘ ᲨᲔᲐᲥᲕᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲠᲗᲝ ᲘᲡ ᲐᲠ

კომუნისტი ხუთშაბათი, 29 აგვისტო, 1957 წ. № 204 (10901).

საბჭოთა პროფკავშირების 50 წლისთავი

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საზეიმო პლენუმი

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღნიშნავენ ღირსშესანიშნავ თარიღს — სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა 50 წლისთავს. ეს სახელოვანი იუბილე ემთხვევა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულისათვის საყოველთაო-სახალხო მზადებას.

საბჭოთა პროფკავშირები წარმოიშვნენ და ვითარდებოდნენ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე მოძღვრების დროშით. არიან რა პარტიის საიმედო დასაყრდენი მასებში, პროფკავშირები თავიანთი საქმიანობის პირველი დღეებიდანვე აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციურ ბრძოლაში თვითმპყრობელობის, მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლების დამხობისათვის, მუშებისა და გლეხების ხელისუფლების მოპოვებისათვის.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, სახელოვან იუბილეს ეგებებიან ახალი წარმატებებით საოქტომბრო შეჯიბრებაში მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის — 1957 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. თავიანთ ორმოცდაათ წლისთავს საბჭოთა პროფკავშირები აღნიშნავენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის მშრომელთა მობილიზაციის ნიშნით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით.

27 აგვისტოს თბილისში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საზეიმო პლენუმი, მიძღვნილი სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა 50 წლისთავისადმი.

თეატრის დარბაზი სადღესასწაულოდ არის მორთული. აქ შეიკრიბნენ პროფკავშირული მუშაკები და პროფკავშირული აქტივისტები რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, საწარმოთა და მშენებლობათა მოწინავენი და წარმოების ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი. აქ არიან თბილისში მყოფი უცხოელი სტუმრები — ცეილონის გაერთიანებული პროფკავშირული დელეგაცია და შვეციის კომპარტიის აქტივისტები.

განათებული სცენის სიღრმეში ოქროსფრად ბრწყინავს საიუბილეო თარიღი „50". სცენის თავზეა ტრანსპარანტი „გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს!"

პრეზიდიუმის მაგიდას უსხდან ამხანაგები გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ვ. კოვანოვი, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, მ. მ. ლელაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. ა. გეგეშიძე, თ. ბ. ჯანელიძე. პრეზიდიუმში არიან პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ფაბრიკა-ქარხნების წარჩინებული ადამიანები, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეები.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლელაშვილი პროფსაბჭოს სახელით ულოცავს შეკრებილთ და მათი სახით საქართველოს პროფკავშირთა 700 ათასზე მეტ წევრს საბჭოთა პროფკავშირების 50 წლისთავს, აგრეთვე მიესალმება ცეილონის გაერთიანებული პროფკავშირული დელეგაციის წევრებსა და შვეციის კომპარტიის აქტივისტებს.

საზეიმო პლენუმი გახსნილად ცხადდება. ასრულებენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნებს.

განსაკუთრებული აღმავლობით, ხანგრძლივი ტაშის გრიალში პროფსაბჭოს საზეიმო პლენუმის საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს.

საბჭოთა პროფკავშირების 50 წლისთავის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მ. მ. ლელაშვილს.

მომხსენებელი ამბობს, რომ სსრ კავშირის პროფესიული კავშირები თავიანთ 50 წლისთავს შეხვდნენ უდიდეს წარმატებათა ვითარებაში, რომლებიც საბჭოთა ხალხმა, მჭიდროდ დარაზმულმა მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, მოიპოვა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

საბჭოთა პროფკავშირების მთელი საქმიანობა განუყრელად დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის მეთაურობით სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, კომუნიზმის აშენებისათვის ჩვენი სამშობლოს მუშათა კლასის გმირული ბრძოლის ისტორიასთან.

მომხსენებელი ეხება საქართველოში პროფესიული კავშირების წარმოშობის ისტორიას, მათს ბრძოლას მენშევიკებისა და დაშნაკების წინააღმდეგ. პროფკავშირები ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მტკიცედ გამოდიოდნენ მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად, აქტიურად იბრძოდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პროფკავშირებისათვის შეიქმნა ყოველმხრივი და ნაყოფიერი საქმიანობის ფართო ასპარეზი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ვ. ი. ლენინმა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე ღრმად დაამუშავა მოძღვრება პროფკავშირების შესახებ, განსაზღვრა მათი როლი და ამოცანები სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების პირობებში.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა მოგვცა საბჭოთა პროფკავშირების, როგორც მართვის სკოლის, მეურნეობის გაძღოლის სკოლის, კომუნიზმის სკოლის, ამომწურავი განმარტება.

სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე პროფკავშირები დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. დიდი და მრავალმხრივი მუშაობა გასწიეს პროფკავშირებმა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინური გეგმის განსახორციელებლად. იბრძვიან რა ხუთწლიანი გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, ისინი აწყობენ მასობრივ სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობას, რაზმავენ მშრომელებს მომჭირნეობის რეჟიმისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის საბრძოლველად.

ომისშემდგომ წლებში პროფესიული კავშირები სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა ფართო მასების სოციალისტურ შეჯიბრებას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენისა და ახალი აღმავლობისათვის. პროფკავშირებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს პარტიისა და მთავრობის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებაში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებლად, იქ შექმნილი მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის კვალიფიციური კადრების შესარჩევად, იკისრეს შეფობა მათდამი.

მომხსენებელმა მოიყვანა ციფრები და ფაქტები, რომლებიც მოწმობენ საბჭოთა ქვეყნის უდიდეს წარმატებებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, რომლებიც მოპოვებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

პარტიის XX ყრილობის შემდეგ პროფკავშირთა მუშაობაში შესამჩნევი გამოცოცხლება დაიწყო. არც ერთი რამდენადმე მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში არ მომხდარა და არ ხდება პროფკავშირთა აქტიური მონაწილეობის მიუღებლად. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის განხორციელება ფართო ასპარეზს უქმნის მასების შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომ განვითარებას, ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ პროფკავშირებმა წარმატებით შეასრულონ კომუნიზმის სკოლის როლი.

ახალი პირობების მიხედვით საკავშირო პროფსაბჭოს VI პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია განხორციელდეს პროფესიული კავშირების მუშაობის გარდაქმნა, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული ორგანიზაციებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობის სიმძიმის ცენტრის გადატანას ოლქებში, მხარეებში, რესპუბლიკებში. პროფკავშირების გამსხვილებას, მათი საქმიანობის გაუმჯობესებას წარმოების მართვაში მშრომელთა მოსაზიდავად.

მომხსენებელი შემდეგ აღნიშნავს, რომ საბჭოთა პროფკავშირების დღესასწაული მიმდინარეობს უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია დიდი ოქტომბრის 40 წლისთავისათვის მზადებით. პროფკავშირული ორგანიზაციები 1957 წლის გეგმის შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებასთან ერთად აწყობენ საწარმოთა კოლექტივების ბრძოლას ქვანახშირის, ლითონის, ელექტროენერგიის, ნედლეულის, მასალების მომჭირნეობისა და ყაირათიანი ხარჯვისათვის, შინარეზერვების გამოვლინებისათვის და ამით ცდილობენ მიაღწიონ პროდუქციის დამატებით გამოშვებას.

პირნათლად ასრულებენ დიდი ოქტომბრის 40 წლისთავის ღირსეულად აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს რესპუბლიკის ბევრი ფაბრიკისა და ქარხნის კოლექტივები. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა წლის პირველ ნახევარში საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა 103 პროცენტით შეასრულეს. მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები — ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა, თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატი, ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტების შახტები და სხვები ვადამდე ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს, აძლევენ სამშობლოს მილიონობით მანეთის ზეგეგმიურ პროდუქციას. უკანასკნელ სამ წელიწადში რესპუბლიკის 483 საწარმო გამარჯვებული გამოდიოდა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან განუხრელად განავითარონ სოციალისტური შეჯიბრება, როგორც სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისა და სოციალისტური ეკონომიკის განუხრელი განვითარებისათვის ბრძოლის მძლავრი საშუალება.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის ლენინური პრინციპები — საჯაროობა, შრომის შედეგების შედარება და მოწინავე გამოცდილების გავრცელება შეჯიბრების ნამდვილი ხელმძღვანელობის საფუძველია.

საჭიროა გაუმჯობესდეს პროფკავშირების მუშაობა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მასობრივი მოძრაობის მოსაწყობად, რომელიც წარმოების განვითარებასა და გაუმჯობესებაში მშრომელთა მონაწილეობის უმნიშვნელოვანესი ფორმაა. პროფკავშირთა ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ყოველდღიური ზრუნვა მუშა-მოსამსახურეთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, მათი მატერიალური და უფლებრივი ინტერესების დაცვისათვის.

საბჭოთა პროფკავშირების ღვიძლი საქმეა მიაღწიონ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის შემდგომ გაფართოებას, მტკიცედ განახორციელონ მშენებლობისადმი კონტროლის უფლება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ" პროფკავშირულ ორგანიზაციებს ახალ კონკრეტულ ამოცანებს უსახავს.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მასების კომუნისტურ აღზრდაში საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის საკითხებს. ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირებს აქვთ 1.639 კლუბი, კულტურის სახლი და სასახლე, წითელი კუთხე. გადაჭრით უნდა ავამაღლოთ მშრომელებში აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის იდეურ-პოლიტიკური დონე.

— კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, — ამბობს დასასრულ ამხ. ლელაშვილი, — სსრ კავშირის პროფესიული კავშირები გადაიქცნენ მუშათა კლასის მჭიდროდ დარაზმულ მძლავრ ორგანიზაციებად. საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციები — საბჭოთა პროფკავშირების განუყოფელი ნაწილი — სახელოვან 50 წლისთავს შეხვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი.

კომუნისტური პარტიისადმი საბჭოთა პროფკავშირების ურყევი ერთგულება კვლავ გამოვლინდა იმ დღეებში, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ამხილა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფი. მთელ პარტიასთან და ყველა მშრომელთან ერთად, პროფკავშირებმა უდიდესი გულისწყრომით დაგმეს ფრაქციონერთა ვერაგული საქმიანობა, რომლებიც ცდილობდნენ აეცდინათ პარტია ლენინური გზიდან. საბჭოთა პროფკავშირები მუდამ იყვნენ და იქნებიან მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე დროშის ერთგულნი.

დიდი სიხარულითა და ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსადმი და ცნობას ლენინის ორდენით საბჭოთა პროფკავშირების დაჯილდოების შესახებ. სოციალისტური მშენებლობის საქმეში საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის პროფკავშირული ორგანიზაციების დამსახურების მაღალი შეფასება საბჭოთა ადამიანებს აღაფრთოვანებს ახალი წარმატებებისათვის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

დარბაზში შემოდის საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა დელეგაცია. აქ არიან მანქანათმშენებლები, ჩარხმშენებლები, ფეიქრები, კვების მუშაკები, მრეწველობის სხვა დარგების მუშები. საბჭოთა პროფკავშირებისადმი მისალმებისათვის სიტყვა ეძლევა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ამწყობი საამქროს საარმატურო განყოფილების ზეინკალს, პროფჯგუფორგს ამხ. ი. ა. მაჩაიძეს. იგი პროფსაბჭოს საზეიმო პლენუმის მონაწილეებს მხურვალედ ულოცავს ჩვენი ქვეყნის პროფკავშირების 50 წლისთავს.

— სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე, — ამბობს ამხ. მაჩაიძე, — პროფკავშირები ახორციელებდნენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, რომელიც სავსებით შეესაბამება ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, ჩვენი დიდი სამშობლოს შემდგომი აყვავებისა და მისი ძლიერების განმტკიცების ინტერესებს.

თბილისის მშრომელები თავდადებით იბრძვიან დიდი ოქტომბრის 40 წლისთავის ღირსეულად აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის. პირობას ვაძლევთ ჩვენი მშობლიური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ გავამრავლებთ ღონისძიებებს ბრძოლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

თბილისის მშრომელთა წარმომადგენლებმა პლენუმს გადასცეს საჩუქრები — თავიანთი შრომის ნაყოფი.

შეკრებილნი ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ მუშათა კლასის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს — შრომითი რეზერვების სასწავლებლების აღსაზრდელებს. მათი სახელით სიტყვას ამბობს თბილისის პირველი ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ალექსანდრე ჯაფარიძე.

— ჩვენ ვცხოვრობთ და ვშრომობთ, — ამბობს ა. ჯაფარიძე, — ბედნიერ ეპოქაში და მხოლოდ წიგნებით ვიცნობთ იმ შავბნელ დროს, როცა უუფლებო მუშები, მეფის თვითმპყრობელობის, ბურჟუაზიის მიერ ჩაგრულნი — ჩვენი მამები და პაპები ცხოვრობდნენ საშინელ სიღატაკეში, არ იშურებდნენ სიცოცხლეს და იბრძოდნენ ბედნიერი მომავლისათვის, რომელიც ახლა საუცხოო აწმყო გახდა.

ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ახალგაზრდობას შეუქმნეს შემოქმედებითი უნარის განვითარების ყველა პირობა. პროფკავშირები მამობრივად ზრუნავენ ჩვენთვის და ყურადღებით გვეპყრობიან. ძნელია უბრალო სიტყვებით გამოვთქვა ჩვენი, გულიდან აღმომხდარი, მადლობა პარტიისა და მთავრობისადმი.

ბეჯითად დავეუფლებით ცოდნას, ჩვენს პროფესიას, მოწინავე გამოცდილებას, რათა მაღალკვალიფიციური მუშები გავხდეთ, შევიტანოთ წვლილი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის საყოველთაო-სახალხო საქმეში.

შრომითი რეზერვების მოსწავლეებმა პლენუმს გადასცეს საჩუქარი — ხეზე ოსტატურად ამოჭრილი შოთა რუსთაველის ბარელიეფი.

დარბაზი თითქოს წითელი ყვავილებით დაიფარა. საზეიმო პლენუმის მონაწილეთა მისასალმებლად მოვიდნენ თბილისელი პიონერები და მოსწავლეები. მათ მქუხარე ტაშით ხვდებიან. ნორჩი ლენინელები მგზნებარე პიონერული სალამით მიმართავენ საბჭოთა პროფკავშირებს. ისინი გულითად მადლობას უხდიან კომუნისტურ პარტიას ბედნიერი და სამური ბავშვობისათვის, პირობას აძლევენ ისწავლონ ისე, რომ ღირსეული ცვლა გახდნენ.

სიტყვას ამბობს ცეილონის გაერთიანებული პროფკავშირული დელეგაციის წევრი სამარაპალა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად ხვდებიან. საბჭოთა პროფკავშირების 50 წლისთავის გამო მან პლენუმს გადასცა ცეილონის მშრომელთა და კერძოდ ცეილონის გაერთიანებული პროფკავშირული დელეგაციის გულითადი მილოცვა.

— დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, — ამბობს სამარაპალა, — ჩვენ სიმპათიითა და იმედით შევყურებთ თქვენს წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ჩვენ დიდად დავაფასეთ თქვენი გადამწყვეტი ნაბიჯი ფაშიზმის განადგურებაში. ომის დამთავრების შემდეგ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში საბჭოთა მთავრობის როლმა ჩვენი ხალხისა და აზიის ყველა ხალხის გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა.

სამარაპალა შემდეგ ლაპარაკობს ცეილონელი ხალხის მისწრაფებაზე შემდგომ განამტკიცოს მეგობრობა საბჭოთა კავშირის მშრომელებთან, უსურვებს საბჭოთა პროფკავშირებს შემდგომ წარმატებებს მშრომელთა საკეთილდღეოდ მუშაობაში, მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროფკავშირებთან ძმური კავშირის ყოველი ღონისძიებით განვითარებასა და განმტკიცებაში.

სიტყვა ეძლევა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. თ. ბ. ჯანელიძეს. საბჭოთა პროფკავშირებმა, — ამბობს იგი, — განვლეს მშრომელთა ინტერესებისადმი თავდადებული სამსახურის სახელოვანი ნახევარი საუკუნის გზა. პროფკავშირები კომკავშირთან ერთად კვლავაც ენერგიულად იმუშავებენ ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდისათვის, აღზრდიან ახალგაზრდობას საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, შრომისადმი შეგნებული, კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

შემდეგ ამხ. ჯანელიძემ წაიკითხა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მისალმება საქართველოს პროფსაბჭოსადმი.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ს. დოლიძე. მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსადმი.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საზეიმო პლენუმმა უდიდესი აღფრთოვანებითა და აღმავლობით მიიღო მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. დარბაზში გაისმის პარტიული ჰიმნის „ინტერნაციონალის" დიდებული ხმები.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროფკავშირთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა და ხელოვნების ოსტატებმა. (საქდესი).

1917 — 1957 ოქტომბრის გზით

პარტიის VI ყრილობის შემდეგ

ივლისის ამბების შემდეგ ყველა მიმართულებით გაძლიერდა რეაქცია. ხელში ჩაიგდო რა ფაქტიური ძალაუფლება, ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა აწარმოებდა მთელი რეაქციული ძალების მობილიზაციას, რათა გაენადგურებინა საბჭოები, დაემყარებინა კონტრრევოლუციური დიქტატურა, სასტიკად გასწორებოდა ბოლშევიკურ პარტიას, მის დიდ ბელადს ვ. ი. ლენინსა და მის თანამებრძოლებს, რევოლუციურ მასებს, პარტიის სამხედრო ორგანიზაციებს. გახშირდა ჩხრეკა, დაპატიმრებანი, რბევა. საპყრობილეები პატიმრებით აივსო.

ასეთ ვითარებაში შეიკრიბა პარტიის VI ყრილობა, რომელსაც იატაკქვეშეთიდან ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი. ყრილობამ ლენინის მითითებებით ახალი ეტაპის შესაბამისად შეიმუშავა ახალი ტაქტიკა, პარტიას უახლოეს საბრძოლო ამოცანად დაუსახა შეიარაღებული აჯანყების გზით სოციალისტური რევოლუციის განხორციელება. ყრილობის შემდეგ პარტიამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით დიდი მუშაობა გააჩაღა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა შორის, რათა დაერაზმა ისინი ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. მასებში გაცხოველებული მუშაობა წარმოებდა ბოლშევიკური პრესის საშუალებით, ბოლშევიკი აგიტატორებისა და პროპაგანდისტების საშუალებით. ისინი ამხილებდნენ დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციურ ბუნებას, მენშევიკებისა და ესერების გამცემლობას, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ბურჟუაზიის გზას უკაფავდნენ კონტრრევოლუციური დიქტატურისაკენ.

პარტიის დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი, რომელიც რაზლივში არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, დაუღალავ მუშაობას ეწეოდა. იგი რაზმავდა ბოლშევიკებს, მუშათა კლასს, ყველა მშრომელს პროლეტარული რევოლუციის მომზადებისა და განხორციელებისათვის. განუზომლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ პერიოდში ლენინის მიერ დაწერილ სტატიებს: „რევოლუციის გაკვეთილები", „კამენევის გამოსვლის შესახებ ცაკში სტოკჰოლმის კონფერენციის გამო", „ხმები შეთქმულების შესახებ", „ქებას ხედავს, რიყეს ვერაო", „პოლიტიკური შანტაჟი", „ქაღალდის რეზოლუციები", „სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ", „პუბლიცისტის დღიურიდან", „ცილისმწამებელთა შესახებ", „რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს" და სხვ.

წერილში — „ბონაპარტიზმის დასაწყისი" — ვ. ი. ლენინი წერდა: **„ყველა ნიშანი მოწმობს, რომ მოვლენათა მსვლელობა უაღრესად დაჩქარებული ტემპით ხდება, და ქვეყანა უახლოვდება შემდგომ ეპოქას, როდესაც მშრომელთა უმრავლესობა იძულებული იქნება მიანდოს თავისი ბედი რევოლუციურ პროლეტარიატს. რევოლუციური პროლეტარიატი ხელთ აიღებს ძალაუფლებას, დაიწყებს სოციალისტურ რევოლუციას, ჩაბამს მასში — ყველა სიძნელისა და განვითარების შესაძლო ზიგზაგების მიუხედავად — ყველა მოწინავე ქვეყნის პროლეტარებს, დაამარცხებს ომსაც და კაპიტალიზმსაც".**

მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, ბოლშევიკები აწყობდნენ მუშათა გაფიცვებს, გამოსვლებს ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის საწინააღმდეგოდ. ერთ-ერთი დიდი გაფიცვა იყო 12 (25) აგვისტოს მოსკოვში მოწყობილი გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 400 ათასზე მეტი კაცი. ეს გაფიცვა ბოლშევიკებმა მოაწყეს სწორედ სახელმწიფო თათბირის წინ, რომელიც დროებითმა მთავრობამ მოსკოვში გამართა და რომლის მიზანი იყო რეაქციის მთელი ძალების მობილიზაცია რევოლუციის ძალების წინააღმდეგ. ამ თათბირს ესწრებოდნენ მემამულეები, ბურჟუაზიის, გენერალიტეტის, ოფიცრობის წარმომადგენლები, აგრეთვე მენშევიკებისა და ესერების წარმომადგენლები. ეს გაფიცვა მიმართული იყო სახელმწიფო თათბირის წინააღმდეგ, რომელსაც ლენინმა კონტრრევოლუციური და იმპერიალისტური თათბირი უწოდა. ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა ამ გაფიცვას, მოსკოვის ბოლშევიკების ბრძოლას. „მოსკოვში 12 აგვისტოს მომხდარმა გაფიცვამ, — წერდა ლენინი სტატიაში „ხმები შეთქმულების" შესახებ, — დაამტკიცა, რომ აქტიური პროლეტარიატი ბოლშევიკების მხარეზეა".

პარტიის VI ყრილობის შემდეგ ბოლშევიკები ძლევდნენ ყველა დაბრკოლებას და კიდევ უფრო აძლიერებდნენ ბრძოლას მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, შეიარაღებული აჯანყებისათვის, პროლეტარული რევოლუციისათვის.

ამ ისტორიულმა ყრილობამ კიდევ უფრო გაზარდა საქართველოს ბოლშევიკების აქტივობა. მათ გააჩაღეს ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის პროლეტარიატის, მშრომელი გლეხობისა და ჯარისკაცების დასარაზმავად. საქართველოს მშრომელებისათვის პარტიის VI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების გასაცნობად დიდი მუშაობა გასწია პ. ა. ჯაფარიძემ, რომელიც ამ ყრილობის დელეგატი იყო და არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად.

დაწინაურებული საწარმო

მრავალნაირ პროდუქციას უშვებს თბილისის პლასტმასის ქარხანა. აქ მზადდება ელექტროტექნიკურ მრეწველობაში საჭირო სხვადასხვა სახის პლასტმასის დეტალები, გამომრთველები, შტეპსელები. გარდა ამისა, ქარხნის საამქროებში აკეთებენ საოჯახო მოხმარების საგნებს — თეფშებს, ვაზებს, საფერფლეებს და ა. შ. ქარხნის პროდუქცია ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. თბილისის პლასტმასის ნაკეთობები იგზავნება მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, სვერდლოვსკში, ჩელიაბინსკში, დნეპროპეტროვსკსა და სხვა ქალაქებში.

დღედაღამ არ წყდება დანადგარების ხმაური ქარხნის საამქროებში. საწარმოს კოლექტივი მთელი ენერგიით იბრძვის, რათა პირნათლად გაანაღდოს საოქტომბროდ ნაკისრი ვალდებულებები. გასული 7 თვის გეგმა საწარმოს კოლექტივმა გადაჭარბებით გაანაღდა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 162 ათასი მანეთის პროდუქცია. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. წარმატებით მუშაობს ქარხანა აგვისტოშიც.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ამწყობ-დამმუშავებელი საამქროს ელექტრომოწყობილობათა კონვეიერის მუშები ნ. ურაშვილი და ა. სავინოვა, საწნეხო საამქროდან ს. ჯანგირაშვილი, საიარაღო საამქროდან ზეინკალი პ. როდიონოვი, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ და საუკეთესო ხარისხის პროდუქციას იძლევიან.

სურათებზე: მარცხნივ — ნ. ურაშვილი (წინა რიგზე) აწყობს გამომრთველებს. მარჯვნივ — ს. ჯანგირაშვილი ამუშავებს ახალ დეტალს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ალკვეთოთ ტრაქტორების მოცდენა, დავაჩქაროთ თესლის მომზადება

ქარელის რაიონის კოლმეურნეობებმა 10.148 ჰექტარი საშემოდგომო თავთავიანი კულტურები უნდა დათესონ. მოწინავე კოლმეურნეობები და მტს-ების მექანიზატორები მაქსიმალურად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს, აჩქარებენ საშემოდგომო ხვნას, თესლის მომზადებას, მინდვრად ნაკელის გატანას.

ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ საშემოდგომო ხორბალი 400 ჰექტარზე უნდა დათესოს. ამ მიზნით კოლმეურნეობამ 300 ჰექტარი მოხნა. ქარელის მტს-ის მექანიზატორები შ. გოჩაშვილი და ს. ხარაზიშვილი შეუფერხებლად ამუშავებენ „დტ-54" მარკის ტრაქტორებს, ხვნის დავალებებს 150-160 პროცენტით ასრულებენ. კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ვ. წიკლაური) მთლიანად მომარაგებული აქვს საჭირო თესლი. ამჟამად წარმატებით წარმოებს მისი გაწმენდა და სათეს კონდიციამდე აყვანა.

საშემოდგომო თესვისათვის მზადებაში დიდი როლი აკისრიათ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს. ეს კარგად გაითვალისწინა სოფელ ახალსოფლის საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ი. ქუმსიშვილი), რომელმაც მიმდინარე წლის 10 აგვისტოს მოისმინა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ნ. შუბითიძის მოხსენება საშემოდგომო თესვისათვის მზადების მიმდინარეობაზე. პარტიული ორგანიზაციის მიერ მიღებული დადგენილების შესრულებისათვის ახლა ენერგიულად მუშაობენ.

მაგრამ ყველგან ასე როდია.

სოფელ კეხიჯვრის კოლმეურნეობამ საშემოდგომო თესვა 300 ჰექტარზე უნდა ჩაატაროს. საშემოდგომო ხვნაზე გადაყვანილია ხუთი ტრაქტორი. მაგრამ სხვადასხვა მიზეზით ტრაქტორები ხშირად ზიანდება და ხვნის დავალებას ვერ ასრულებენ. მაგალითად, ს. ნოზაძის ტრაქტორი გუთნის დაზიანების გამო 22 აგვისტოს უქმად იდგა. გ. ნიორაძის ტრაქტორიც ტექნიკური მოუწესრიგებლობის შედეგად 22 აგვისტოს მთელ დღეს მოცდა. უფრო მეტიც. ჯ. ყაჩლავაშვილის „დტ-54" მარკის ტრაქტორი ოთხი დღეა მინდვრად დაშლილია. დაშლილი ტრაქტორის გაწმენდასა და აწყობაში ტრაქტორისტებს დახმარება ესაჭიროებათ. მაგრამ ამას მოკლებული არიან. კეხიჯვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ლომიტაშვილმა დახმარების ნაცვლად მტს-ის მიმბმელები დაითხოვა, — აქ ნუ მუშაობთ, სულ ერთია შრომადღეებს არ დაგიწერთო. 22 აგვისტოს ქარელის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ნოზაძე ადგილზე გაეცნო ამ მდგომარეობას და მისი ჩარევის შემდეგ მიმბმელები დააბრუნეს.

კეხიჯვრის კოლმეურნეობის მთაგორიანი ფართობები მუშა პირუტყვით არის მოსახნავი, მაგრამ ხვნაზე ყოველდღიურად ხუთი გუთნეული მუშაობს, შესაძლებლობა კი გაცილებით მეტია. აქ თესლის გაწმენდა და სათეს კონდიციამდე აყვანაც ჩამორჩება. კეხიჯვრის საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ე. ნასყიდაშვილი) მიმდინარე წლის 13 აგვისტოს განიხილა საშემოდგომო თესვისათვის მზადების საკითხი, მაგრამ აღნიშნული ნაკლოვანებანი ცხადყოფენ, რომ მიღებული დადგენილება შემდეგ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობით არ განუმტკიცებიათ.

საშემოდგომო თესვისათვის მზადებაში ჩამორჩენილია სანებლის კოლმეურნეობაც. ადგილობრივი მთაგორიანი რელიეფის პირობებში გამოყენებული არ არის მუშა პირუტყვი.

ჩამორჩენაა თესლის გაწმენდასა და სათეს კონდიციამდე აყვანაში. სოფელ ქვემო ხვედურეთის კოლმეურნეობაში გასაწმენდია და კონდიციამდე არ არის აყვანილი 200 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი, ღვლევის კოლმეურნეობაში —80 ცენტნერი, ზღუდრის კოლმეურნეობაში — 200 ცენტნერი. ასეთივე ჩამორჩენაა არადეთის, ბრეძისა და რუისის კოლმეურნეობებში, ხოლო ატოცის, ქვენატკოცის, ჭანდრების, ბებნისის და ლეთეთის კოლმეურნეობებს ჯერაც არ წარუდგენიათ თესლის ნიმუშები თესლის კონტროლის ლაბორატორიაში შესამოწმებლად.

პარტიის ქარელის რაიკომის ბიურომ ამა წლის 6 აგვისტოს განიხილა საშემოდგომო თესვისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი, სასჯელი დაადო რუისის მტს-ის დირექტორს დ. ტიტვინიძეს და მთავარ აგრონომს გ. ურუშაძეს ურბნისის კოლმეურნეობაში 12 ჰექტარზე ხვნის დაბალხარისხოვნად შესრულებისათვის და დასახა სათანადო ღონისძიებანი, მაგრამ ბიუროს ეს დადგენილება ყველა პარტიულ ორგანიზაციაში არ არის განხილული.

საჭიროა ყოველდღიური კონტროლი დავაწესოთ საშემოდგომო თესვისათვის მზადების მიმდინარეობაზე, უფრო მეტად გავზარდოთ მტს-ების, კოლმეურნეობების გამგეობებისა და პარტიული ორგანიზაციების მდივნების მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა, მთელი ძალები დავრაზმოთ იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ თესვას.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა გორელი მიჩურინელი ვასილ ბესტავაშვილი. მან 45 წლის მანძილზე გამოიყვანა ატმის და ვაზის მრავალი ჯიში. ბევრი მათგანი ცნობილია ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც. ამ ბოლო ხანებში ფართოდ ვრცელდება ბესტავაშვილის № 41 ჯიშის ატამი, რომელიც კარგად იტანს ტრანსპორტირებას და საუკეთესო საკონსერვო მასალაა. ს უ რ ა თ ზ ე: მიჩურინელი ვ. ბესტავაშვილი და სკრის საცდელი სადგურის ქართლის დასაყრდენი პუნქტის გამგე აგრონომი გ. მაჭავარიანი ამოწმებენ ატმის სიმწიფეს.

ფოტო შ. კუკულავასი.

ტექნიკუმიდან—კოლმეურნეობაში

ბაჩუა და შუშანიკა სანაიები შარშან ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრებისთანავე მშობლიურ ფოცხოში გაეშურნენ და მუშაობა დაიწყეს ამ სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ამჟამად ბაჩუა და შუშანიკა თავდადებულად მუშაობენ ჩაის კრეფაზე და ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებენ. გეგმით თვითეულმა წელს უნდა მოკრიფოს 2.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. ბაჩუა სანაიას უკვე მოკრეფილი აქვს 2.100 კილოგრამი, ხოლო შუშანიკა სანაიას 1.900 კილოგრამი. მათი ვალდებულებაა გეგმის ზევით მოკრიფონ 1.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. მოწინავე ახალგაზრდებმა ენერგიული შრომით კოლმეურნეთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს.

ს. კუჭავა.

წერილები რედაქციას

რადიომომსახურება უნდა გაუმჯობესდეს

ტრესტ „საქენერგომშენის" ქუთაისის საწარმოო კომბინატის ხელმძღვანელობამ ერთი წლის წინათ სთხოვა ქუთაისის რადიოკვანძის დირექციას, რომ კომბინატის საწარმოო კორპუსებში და მუშათა დაბის ტერიტორიაზე დაედგა ხმამაღლა მოლაპარაკე რადიორეპროდუქტორები. საჭირო იყო ბოძების დადგმა და № 2 ავტოსატრანსპორტო კანტორის ტერიტორიიდან ხაზის გამოყვანა.

რადიოკვანძის დირექციას არც მავთული აღმოაჩნდა, არც ბოძები და რადიორეპროდუქტორები. ყველაფერი ეს კომბინატმა თავისი ხარჯით შეიძინა, რაზეც დაახლოებით 5.000 მანეთი დაიხარჯა. როგორც იქნა, რადიოკვანძის მუშაკებმა საქმეს ხელი მოჰკიდეს და... ორი თვის განმავლობაში მხოლოდ ორი რეპროდუქტორი დადგეს. საწარმოო კომბინატის ეზოში და მუშათა კლუბის წინ რადიო ალაპარაკდა.

კვანძის დირექციამ რადიომომსახურების სამი თვის თანხა წინასწარ მოითხოვა. ეს მოთხოვნაც დავაკმაყოფილეთ, მაგრამ ამ 10 თვის განმავლობაში რადიოს სანახევროდაც არ უმუშავნია. ხან ხაზები წყდება, ხან კი რეპროდუქტორები ზიანდება, ამის გამო ბევრჯერ მივმართეთ რადიოკვანძის დირექციას, კავშირგაბმულობის საქალაქო კანტორას, მაგრამ დაპირებებს იქით საქმე არ მიდის. ამჟამად კომბინატის ეზოში რეპროდუქტორი სრულიად მოხსნილია, ხოლო კლუბის წინ — არ მუშაობს.

ნუთუ ასე ძნელია ამ საქმის მოგვარება?

ვ. სალუქვაძე,
ტრესტ „საქენერგომშენის" ქუთაისის საწარმოო კომბინატის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე.

რატომ არ გვიჩვენებენ კინოსურათებს?

აღვის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში მრავალი ბეჯითი, შრომისმოყვარე ადამიანია. ფიზიკური შრომის შემდეგ მათ კულტურული დასვენება და გართობა ესაჭიროებათ. სოფელი რაიონის ცენტრს დიდი მანძილით არის დაშორებული და მცხოვრებლები წარმოდგენებზე, კონცერტებზე და კინოსურათების სანახავად იქ ვერ მიდიან.

რაიონის კულტურის განყოფილებამ დაივიწყა, რომ აღველებსაც გაუწიოს კულტურული მომსახურება. მეოთხე წელია, რაც აქ კინოსურათი არ უჩვენებიათ. ეს რაიონულ გაზეთ „კომუნიზმის სხივში" დაიწერა, მაგრამ მდგომარეობა არ შეცვლილა.

კოლმეურნეები მოითხოვენ, რომ ცაგერის რაიონის კულტურის განყოფილება პასუხისმგებლობით მოეკიდოს სოფლის მშრომელთა კინომომსახურების საქმეს.

ნ. ახვლედიანი.

წერილების კვალდაკვალ

„მივაქციოთ ყურადღება" — ამ სათაურით „კომუნისტში" გამოქვეყნებული იყო წერილი, რომელიც შეეხებოდა თბილისის კომუნარების სახელობის ბაღში აღმართული საქართველოს კომკავშირის ფუძემდებლის ბორის ძნელაძის ძეგლის დაზიანებას. როგორც თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე ამხ. ქ. ოტიაშვილი გვატყობინებს, შედგენილია ხარჯთაღრიცხვა, მომავალი წლის პირველ კვარტალში ბაღში გამოიცვლება კვარცლბეკი და დაიდგმება ბ. ძნელაძის ახალი ქანდაკება.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ახალი ექსპერიმენტული ნაშრომი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა პროფესორ ს. ჟღენტის მონოგრაფია „ქართული ენის ფონეტიკა", რომელიც დამუშავებულია საბჭოთა ექსპერიმენტული ფონეტიკისა და ქართველური ენათმეცნიერების უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე. წიგნს მნიშვნელობა აქვს როგორც ქართული ენის ფონეტიკური სისტემის ზოგიერთი თეორიული პრობლემის გასარკვევად, ისე სალიტერატურო ენის პრაქტიკული საკითხების მოგვარების თვალსაზრისითაც.

ექსპერიმენტული ფონეტიკა შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა. იგი გამომუშავდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. მისი ფუძემდებლები არიან ბოგოროდიცკი რუსეთში და რუსლო საფრანგეთში. ორივე მეცნიერის გამოკვლევებში გამოხატულება ჰპოვა ექსპერიმენტული ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის მონაცემებმა, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა ენის ბგერითი მოვლენების საიმედო და ზუსტი შესწავლისათვის. ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენებამ ფონეტიკა აქცია ყველაზე ზუსტ დისციპლინად ლინგვისტური მეცნიერების საერთო სისტემაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა ფონეტიკოსების მიერ გამოქვეყნებული ექსპერიმენტულ-ფონეტიკური ნაშრომები, სადაც დიდი შედეგია მიღებული ელექტროაკუსტიკური, რადიოტექნიკური და რენტგენოლოგიური მეთოდების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო დროს კვლევის ექსპერიმენტულ-ფონეტიკური მეთოდები ნაყოფიერი აღმოჩნდა გრამატიკაშიც. ამ თვალსაზრისით სწავლობენ ლექსიკის საკითხებსაც და, უნდა ვიფიქროთ, ექსპერიმენტული მეთოდი დადებით შედეგებს მოგვცემს სტილისტიკაშიც.

სარეცენზიო წიგნში განხილულია ქართული გრაფიკისა და ორთოგრაფიის საკითხები, შესწავლილია ქართული ენის ხმოვნები და თანხმოვნები ექსპერიმენტულად, გარკვეულია მარცვალი და მისი აგებულება, დახასიათებულია ბგერათა ცვალებადობა გაბმულ მეტყველებაში, დიალექტებში, მნიშვნელოვანი დასკვნებია მოცემული ქართული აქცენტუაციის კვლევის დარგში. ავტორი ფართოდ იყენებს შედარებით მეთოდს. ამ თვალსაზრისით ქართული ფონეტიკური მოვლენები შედარებულია სხვა ქართველური ენების (მეგრულ-ჭანურ-სვანურის) ფონეტიკურ სისტემასთან, წარმოდგენილია ის თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს ქართულ ხალხურ მეტყველებას — დიალექტებს, გათვალისწინებულია ძველი ქართული ენის ფონეტიკური მოვლენები, რამდენადაც ისინი არკვევენ თანამედროვე წარმოთქმის ბნელით მოცულ საკითხებს და სხვ.

ავტორი არ ივიწყებს დღევანდელი სალიტერატურო ენის პრაქტიკულ საკითხებს და გზადაგზა იძლევა მნიშვნელოვან დასკვნებს ამა თუ იმ ბგერის სწორად წარმოთქმის დასადგენად. მაგალითად, ექსპერიმენტულმა მონაცემებმა სავსებით დაადასტურა დებულება, რომ ვითარებითი ბრუნვის ნიშნად უნდა გავახმოვანოთ „დ" და არა „თ" (ცაცად, თავმჯდომარედ და არა: ცაცათ, თავმჯდომარეთ). გარდა ამისა, აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: ს. ჟღენტის დაკვირვებებმა ცხადი გახადა, რომ დღევანდელ სალიტერატურო ქართულში „ყ" ბგერას ახასიათებს არტიკულაციის წინ წამოწევის ტენდენცია. საქართველოს მთის კილოებსა და სვანურში კი დასტურდება ფარინგალიზაციის აქტიურობა, (ე. ი. „ყ"-ს წარმოთქმამენ აქტიურად და არა შერბილებულად). ფარინგალიზაციის შესუსტების საერთო ტენდენციამ კი ზოგიერთი მკვლევარი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა სალიტერატურო ენაში „ყ"-ს დარბილებული წარმოთქმა. ეს გარემოება განსაკუთრებით თავს იჩენს სასცენო მეტყველებაში. მაგალითად, ქართული სასცენო მეტყველების მკვლევარი დოც. მ. მრევლიშვილი წერს: „ყ" წარმოთქმას ჩვენ განზრახ ვასუსტებთ სასცენო მეტყველებისათვის, მისი ზედმეტი ჩქამიერობისა და არაკეთილხმოვანობის გამო... „ყ"-ს გავარჯიშება მიმართული უნდა იყოს მისი შერბილებისაკენ" (იხ. მისი „ქართული სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძვლები", 1949 წ. გვ. 55). სალიტერატურო წარმოთქმაში ამ ხელოვნური ჩარევისა და ძალდატანების წინააღმდეგ მეტყველებენ სწორედ ის ექსპერიმენტული მონაცემები, რომლებიც მიღებულია სარეცენზიო ნაშრომში. ფარინგალიზაციის შესუსტების ტენდენცია არ იძლევა იმის საფუძველს, რომ კეთილხმოვანების გამო „გადავაკეთოთ" ენა. სალიტერატურო წარმოთქმის თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ბგერა „ვ"-ს თავისებურების გამორკვევას „უ" ხმოვნის წინ (ვულკანი, ვუთხარი, შევუდექი...). აქაც შეიმჩნევა რყევა: „ვ" გამოკვეთილად უნდა წარმოვთქვათ თუ სულ არ წარმოვთქვათ? ს. ჟღენტის დასკვნით, ლიტერატურულ წარმოთქმაში ასეთ შემთხვევაში ვინი არ უნდა დაიჩრდილოს, არც მისი არტიკულაციურად ზედმეტი გაძლიერებაა საჭირო.

სარეცენზიო წიგნის ავტორი ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე არკვევს ქართული აქცენტუაციის საკითხებს. საანალიზაციო სიტყვები და წინადადებები ჩაწერილია მოსკოვის უცხო ენათა ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის ელექტროაკუსტიკური აპარატის საშუალებით.

ს. ჟღენტის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტებით ცხადი ხდება, რომ მრავალმარცვლიან სიტყვებში (იგულისხმება სალიტერატურო წარმოთქმა) მახვილი არ დაისმის ბოლოდან მეორე მარცვალზე, როგორც ამას ამტკიცებდა ზოგიერთი მეცნიერი. მრავალმარცვლიან სიტყვათა მელოდიკისა და სიძლიერის მრუდების ანალიზით ისიც ნათელი გახდა, რომ ქართულ სიტყვას მეორე მახვილი არა აქვს. არ გამართლდა აკად. ნ. მარის ვარაუდი, რომლის თანახმად სამახვილო ხმოვანია ბოლოდან მეორე მარცვალი, ხოლო ოთხ, ხუთ და ექვსმარცვლიან სიტყვებში ორი მახვილი — მთავარი და თანამახვილი — მოქმედებს. ამრიგად, საბოლოოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს აკად. გ. ახვლედიანის აზრი, რომ ორმარცვლიან სიტყვებში მახვილიანია ბოლოდან მეორე მარცვალი, ხოლო მეტმარცვლიან სიტყვებში მახვილს ატარებს ბოლოდან მესამე მარცვალი.

ქართული მახვილის ლოკალიზაციის ექსპერიმენტულ გამოკვლევას გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. თანამედროვე სალიტერატურო წარმოთქმაში არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მიღწეულია ერთგვარობა: ბევრის (ვინც ლიტერატურულად მეტყველებს) წარმოთქმაში მახვილი მრავალმარცვლიანი სიტყვების მეორე მარცვალზეც მოდის. ასეთი სიჭრელე განსაკუთრებით საგრძნობია ქართულ სასცენო მეტყველებაში. რით აიხსნება მახვილის ადგილის ეს სხვადასხვაობა სალიტერატურო ენაში? საკითხავია აგრეთვე: რატომ მიიჩნია ქართული ენის ისეთმა გამოჩენილმა მკვლევარმა, როგორიც იყო ნ. მარი, მახვილის მატარებლად ბოლოდან მეორე მარცვალი მრავალმარცვლიან სიტყვებში?

საქმე ის არის, რომ ქართულ დიალექტთა გარკვეული ჯგუფისათვის (ხევსურულ-მთიულურ-აჭარულისათვის) დამახასიათებელია მრავალმარცვლიან სიტყვებში მახვილის დასმა ბოლოდან მეორე მარცვალზე, გარკვეულ ჯგუფს კი (ქართლურ-კახურ-რაჭულს) მახვილი მესამე მარცვალზე მოუდის. იი, ამ დიალექტების გავლენას ჯერ კიდევ ვერ ასცდენია სალიტერატურო ენა. ს. ჟღენტი ფიქრობს, რომ „ქართულ სალიტერატურო წარმოთქმაში ორგვარი აქცენტუაციის — ლიტერატურულისა და დიალექტურის — ბრძოლის პროცესი ჯერ კიდევ საბოლოოდ დამთავრებული არ არის" (გვ. 259). ქართლურ-კახურ-რაჭული დიალექტების აქცენტუაცია ყველაზე უფრო ახლო დგას სალიტერატურო აქცენტუაციასთან თავის ძირითად მომენტებში. ხოლო ნ. მარმა სალიტერატურო ქართულის აქცენტუაცია გაათანაბრა იმ აქცენტუაციასთან, რომელიც გარკვეულ დიალექტთა შემონატანს წარმოადგენს სალიტერატურო წარმოთქმაში. ეს კი ნორმად ვერ ჩაითვლება.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ს. ჟღენტის „ქართული ენის ფონეტიკა" სასარგებლო ნაშრომია, რომელიც გამოადგება ყველას, ვინც დაინტერესებულია ჩვენი ენის ფონეტიკური სისტემის თავისებურებათა შესწავლით. წიგნი დახმარებას გაგვიწევს სალიტერატურო წარმოთქმის ზოგიერთი პრაქტიკული საკითხის მოსაწესრიგებლადაც, რამდენადაც იგი გვაწვდის ქართული ბგერების ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგად მიღებულ განზოგადებულ დასკვნებს.

შოთა ძიძიგური.

სამეცნიერო თემაზე

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის დაკვირვებანი საქართველოში

უკვე მეორე თვეა, რაც დედამიწაზე წარმოებს საერთაშორისო გეოფიზიკური წლის დაკვირვებანი. მსოფლიოს ყველა კუთხეში მუშაობს ათასობით სამეცნიერო სადგური, იგზავნება სიგნალები დედამიწის გარშემო სივრცეში. ეჭვი არ არის, რომ 18 თვის დაკვირვებანი კაცობრიობას საშუალებას მისცემს შეისწავლოს დედამიწის და მის გარშემო სივრცის ბევრი ისეთი საიდუმლოება, რასაც დღეს შეუცნობლობის ბეჭედი აზის. 55 დიდი და პატარა სახელმწიფო იღებს მონაწილეობას ამ დაკვირვებათა განხორციელებაში.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის გამოკვლევების ძირითადი აზრია მთელ დედამიწის ზურგზე ერთდროული დაკვირვების წარმოება ბუნების ისეთ მოვლენებზე, რომლებსაც დიდი ტერიტორიული ან სივრცითი განვითარება ახასიათებს. ამ გზით შესაძლებელი ხდება ჩვენს გარშემო სამყაროს უფრო ღრმად შეცნობა. ასეთ დაკვირვებათა წარმოება დღეს აუცილებელია, რადგან კაცობრიობის წინაშე მრავალი ისეთი პრობლემა დგას, რომლებიც მოკლე დროში გადაჭრას მოითხოვს. მათ რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, ატმოსფეროს მაღალ ფენებში ფრენის პრობლემა, როგორც პლანეტათა შორის ფრენის პირველი ეტაპი.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამა ითვალისწინებს მრავალი სამეცნიერო პრობლემის დამუშავებას მეცნიერების შემდეგი დარგებიდან: მეტეოროლოგია, დედამიწის მაგნეტიზმი, პოლარული და ღამის ცის ნათება, იონოსფერო, მზის აქტივობა, კოსმოსური სხივები, დედამიწის სიგანედები და სიგრძედები, გლაციოლოგია, ოკეანოგრაფია, სეისმოლოგია, გრავიმეტრია და მრავალი სხვა.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის კვლევის მეთოდიკა ერთიანია დაკვირვების ყველა სადგურისათვის და თანამედროვე მეცნიერების მეტად მაღალ დონეზე დგას. გარდა სტაციონარული დაკვირვებებისა, გამოყენებულ იქნება ახალი სახის რაკეტული გამოკვლევები. ატმოსფეროს მაღალ ფენებში დედამიწის ზედაპირიდან გაიგზავნება მაღალი სისწრაფის მქონე რაკეტები, რომლებიც ავტომატურად ჩაწერენ ცნობებს ატმოსფეროს შედგენილობის, წნევის, ტემპერატურისა და სხვა პირობების შესახებ. საბჭოთა კავშირი გაუშვებს 100 ასეთ რაკეტს, როგორც თავისი ტერიტორიიდან, ისე ანტარქტიდიდან და ფრანც იოსების მიწიდან.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ემბლემაზე გამოსახულია დედამიწის ბურთი მის გარშემო მსრბოლი პატარა თანამგზავრით. მართლაც, საერთაშორისო გეოფიზიკური წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები აწყობენ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვებას. ეს თანამგზავრი, დაახლოებით 51 სანტიმეტრის დიამეტრისა და 10 კილოგრამი წონისა, სივრცეში განიტყორცნება რეაქტიული ძალით სამსაფეხურიანი რაკეტის საშუალებით. საწყისი სიჩქარე მას ექნება 10 ათასი კილომეტრი საათში, რაც საბოლოოდ მიაღწევს 29 ათას კილომეტრს. დღეღამის განმავლობაში თანამგზავრი, რომელიც რამდენიმე ასეული კილომეტრის სიმაღლეზე იქნება, 16-ჯერ შემოუვლის დედამიწას. მისი დანახვა შესაძლებელი იქნება ბინოკლით მზის ამოსვლამდე ან მზის ჩასვლის შემდეგ, როცა ის პატარა მბრწყინავი ვარსკვლავის სახით 12-13 წუთში გადაირბენს ცის თაღზე. დედამიწაზე რადიოლოკაციური და ოპტიკური სადგურები სისტემატურად ჩაწერენ მის მიერ გადმოცემულ სიგნალებს.

საბჭოთა კავშირი მონაწილეობას იღებს საერთაშორისო გეოფიზიკური წლის თითქმის ყველა პრობლემის დამუშავებაში. ამ მიზნით მოეწყო რამდენიმე ასეული ახალი დაკვირვების სადგური, რამდენიმე ათეული ექსპედიცია, მათ შორის ექსპედიციები არქტიკასა და ანტარქტიდის კონტინენტზე.

საქართველოს მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო გეოფიზიკური წლის დაკვირვებებში, რაც მეტყველებს ჩვენს რესპუბლიკაში საბუნებისმეტყველო მეცნიერების მაღალ დონეზე. საერთაშორისო გეოფიზიკური წლის მონაწილენი საქართველოს რესპუბლიკიდან არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, ჰიდრომეტსამსახურის საქართველოს სამმართველო და კავშირგაბმულობის სამინისტრო. ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული კომიტეტი აკადემიის პრეზიდენტის აკად. ნ. მუსხელიშვილის თავმჯდომარეობით.

საქართველოს ჰიდრომეტსამსახურის სამმართველო დაკვირვებებს მოაწყობს მეტეოროლოგიის დარგში. რამდენიმე ათეული მეტეოროლოგიური სადგური საქართველოს ტერიტორიაზე აწარმოებს ამ სამუშაოებს სტანდარტული პროგრამით. სამმართველო სპეციალურ დავალებას ასრულებს მზის რადიაციის ანუ გამოსხივების შესწავლის და აეროლოგიის დარგში. ამ მიზნით ახალი სადგურები მოეწყო ბაბუშერაში სოხუმის ახლოს და თბილისში. აქ იწარმოებს ატმოსფეროს რადიოზონდირება, ბურთპილოტური დაკვირვებანი და მზის რადიაციის გაზომვები.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო ჩაატარებს დაკვირვებებს ე. წ. ატმოსფეროს ხელშეშლებზე, რომლებიც რადიომაუწყებლობის ხარისხზე ახდენენ გავლენას.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია იმუშავებს ატმოსფეროს ოზონის, ღამის ცის ბინდური ნათების და მზის აქტივობის პრობლემებზე, რომელთა შესასწავლად ობსერვატორიის ტერიტორიაზე აშენდა სპეციალური მზის პავილიონი და კოშკურა ღამის ცის ნათების დასამზერად. შექმნილია და მუშაობს სრულიად ახალი მგრძნობიარობის მქონე თანამედროვე ხელსაწყოები.

ატმოსფეროს ოზონს დიდი მნიშვნელობა აქვს დედამიწაზე ცოცხალი ორგანიზმების არსებობისათვის. როგორც ცნობილია, ოზონი წარმოადგენს გაზს, რომელიც ატმოსფეროში მცირე რაოდენობით მოიპოვება. აღმოჩნდა, რომ დედამიწის ზედაპირიდან 20-25 კილომეტრის სიმაღლეზე მოიპოვება შრე, რომელიც ოზონს მომეტებული რაოდენობით შეიცავს. ეს შრე დიდ როლს ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში, რადგან წარმოადგენს თავისებურ ფილტრს, რომელიც მიწისაკენ არ უშვებს მზის სხივების მავნე შემადგენელ ნაწილებს და პირიქით ხელს უშლის მიწის ზედაპირიდან სითბოს გატანას სივრცეში. ამის გამო ოზონის შრის შესწავლა თანამედროვე ატმოსფეროს ფიზიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ეს დაკვირვებანი აბასთუმანში წარმოებს ე. წ. ოზონმეტრების საშუალებით.

ასევე მნიშვნელოვანია ღამის ცის ნათების პრობლემა. ღამე ცა გამოასხივებს სუსტ სინათლეს, რომელიც წარმოადგენს ატმოსფეროს მაღალი ფენების გაზების ნათებას. მათი შესწავლა საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ ამ გაზების შემადგენლობაზე. ეს დაკვირვებანი აბასთუმანში წარმოებს სპექტროგრაფებისა და ფოტოელექტრული ფოტომეტრების საშუალებით.

მზის აქტივობის შესწავლა თანამედროვე ასტროფიზიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. საერთაშორისო გეოფიზიკური წელი თანხვდება მზის აქტივობის მაქსიმუმს, რომელსაც, როგორც ცნობილია, პერიოდულობა ახასიათებს. მზის აქტივობა გამოიხატება მის ზედაპირზე მთელი რიგი წარმონაქმნების — ლაქების, პროტუბერანცების, ფლოკულების, ქრომოსფერული აფეთქებებისა და სხვა მოვლენების წარმოშობით. ეს დაკვირვებანი აბასთუმანში წარმოებს სპექტროჰელიოგრაფების, სპექტროგრაფებისა და ქრომოსფერულ-ფოტოსფერული ტელესკოპის საშუალებით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი ამჟამად დაკვირვებებს აწარმოებს ინსტიტუტის დუშეთის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში საერთაშორისო გეოფიზიკური წლის შემდეგი პრობლემებისა: გეომაგნიტურ შეშფოთებათა ველების, გეოელექტრულ შეშფოთებათა ველებისა და დედამიწის მოკლეპერიოდიანი ელექტრომაგნიტური ვარიაციების ველების შესასწავლად. ამ დაკვირვებათა განსახორციელებლად დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე აშენდა ახალი კეთილმოწყობილი პავილიონი, შექმნილია და დადგმულია სავსებით ახალი ხელსაწყოები, რომლებიც ტექნიკის უკანასკნელ სიტყვას შეესაბამებიან. მაგალითად, მოკლეპერიოდიანი გეომაგნიტური ველების დაკვირვებებისათვის შექმნილია ე. წ. ფლუქსმეტრიული დანადგარი, რომლის ავტორია საბჭოთა მაგნიტოლოგი პროფესორი ა. გ. კალაშნიკოვი. ასეთი დანადგარი საბჭოთა კავშირში მხოლოდ ოთხ ადგილას ეწყობა.

მაგნიტურ დაკვირვებათა მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა დიდია. დედამიწის მაგნიტური ელემენტების ცოდნა აუცილებელია, რადგან მთელი საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის მოძრაობა მაგნიტური ისრის ჩვენებაზეა დამყარებული. კერძოდ, დიდ ინტერესს შეიცავს მაგნიტური ძალის ირეგულარული ცვლილებები, ანუ ე. წ. შეშფოთებები, რომლებიც დროგამოშვებით იწვევენ მაგნიტური ველის არანორმალურ ცვლილებებს; ასევე საინტერესოა დედამიწის ელექტრული ველის შესწავლა. როგორც ცნობილია, მიწის ქერქში მეტად სუსტი ელექტრული დენი მოძრაობს, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება დედამიწის მაგნიტურ ველს. ამ დენების ვარიაციების შესწავლის საფუძველზე მეცნიერებას შეუძლია იმსჯელოს მიწის შიგნეთის აგებულებაზე. ზოგი მეცნიერის აზრით, ეს დენები შეიძლება გამოვიყენოთ როგორც მიწისძვრების წინასწარ მაუწყებელნი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ელექტრული და მაგნიტური ველის ე. წ. მოკლეპერიოდიანი ვარიაციები, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება მთელ რიგ მოვლენებს მიწის შიგნით და მის გარემო სივრცეში.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გეომაგნიტურ დაკვირვებებს საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამით აწარმოებენ 32 სადგურზე, მათგან 12 ახლად არის მოწყობილი. მიწის დენებზე დაკვირვებანი იწარმოებს 14 სადგურში.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამა ითვალისწინებს საქართველოში ე. წ. იონოსფერულ დაკვირვებათა მოწყობას. სათანადო მოწყობილობის ანუ იონოსფერული სადგურის გამოყოფა შეიძლება მოხდეს მიმდინარე წლის ბოლოს. იონოსფერულ კვლევებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ატმოსფეროს ზედა ფენების (რამდენიმე ასი კილომეტრის სიმაღლეზე) შესწავლის საქმეში. ეს კვლევა წარმოებს იონოსფეროს შრეებიდან რადიოიმპულსების არეკლვის მეთოდით. თუ ეს მოწყობილობა მიღებულ იქნა, საქართველოს მეცნიერება გამდიდრდება ახალი დარგით.

ეჭვი არ არის, რომ საერთაშორისო გეოფიზიკური წლის დაკვირვებათა შედეგად კაცობრიობა აღმოაჩენს ახალ კანონზომიერებებს, რომელნიც ბუნების მოვლენებს განაგებენ და რომელთა შეცნობა საფუძვლად დაედება საბუნებისმეტყველო მეცნიერების შემდგომ განვითარებას. საქართველოს მეცნიერებს საკმაო წვლილი შეაქვთ ამ უდიდესი მეცნიერული ღონისძიების ჩატარებაში.

ა. ბუხნიკაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საერთაშორისო გეოფიზიკური წლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი.

უცხოეთის გამოხმაურება საქდესის ცნობაზე

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 27 აგვისტო. (საქდესი). გაზეთმა „რუდე პრავომ“ დღეს პირველ გვერდზე დიდი სათაურით გამოაქვეყნა საქდესის ცნობა საბჭოთა კავშირში საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის გამოცდის წარმატებით მოწყობისა, აგრეთვე ატომგულისა და თერმოატომგულის იარაღის აფეთქების შესახებ.

გაზეთი გამოჰყოფს ცნობის იმ ადგილებს, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საბჭოთა მთავრობას არაერთგზის შეუტანია კონკრეტული წინადადებანი სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების არსებითად შემცირების შესახებ, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის, ამ სახეობათა იარაღის გამოცდის შეწყვეტისა და იმ სხვა ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია განიარაღების პრობლემასთან.

საქდესის ცნობას გადასცემდნენ პრაღის რადიოთი. რადიოს კომენტარებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საბჭოთა კავშირი, რომელსაც თავის განკარგულებაში აქვს თანამედროვე ატომგულის იარაღი და საკონტინენტთაშორისო რაკეტები, განაგრძობს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის მტკიცე ბრძოლას, რათა დაიდოს შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისა და აკრძალვის შესახებ, მთლიანად განიარაღების პრობლემის შესახებ. ეს მიზანი უკვე მიღწეული იქნებოდა, დასავლეთის სახელმწიფოები რომ არ უქმნიდნენ დაბრკოლებებს.

რუმინეთი

ბუქარესტი, 27 აგვისტო. (საქდესი). რუმინეთის ყველა დღევანდელმა ცენტრალურმა გაზეთმა გამოაქვეყნა საქდესის ცნობა, რომ საბჭოთა კავშირში წარმატებით განხორციელდა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის გაშვება, აგრეთვე მოხდა ატომგულისა და თერმოატომგულის იარაღის გამოცდა. გაზეთები სათაურებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის დაპროექტება და მშენებლობა უდიდეს ღვაწლს წარმოადგენს მეცნიერების განვითარებაში და რომ საბჭოთა მთავრობა კვლავ მოითხოვს განიარაღებას, ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტას და მის აკრძალვას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ბერლინი, 27 აგვისტო. (საქდესი). გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ პირველ გვერდზე სათაურით „პირველი საკონტინენტთაშორისო რაკეტა გამოცდილია“ აქვეყნებს საქდესის ცნობას საბჭოთა კავშირში საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის გაშვებისა და წარმატებით გამოცდის, აგრეთვე ატომგულისა და თერმოატომგულის იარაღის აფეთქების შესახებ. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რაკეტის გამოცდის წარმატებით განხორციელება ხალხ უდიდეს წვლილს წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში. ამავე დროს „ნოიეს დოიჩლანდი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც წინათ, მზად არის დადოს შეთანხმება მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის შესახებ.

ბერლინის სხვა დემოკრატიული გაზეთები აქვეყნებენ საქდესის ცნობას და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ რაკეტის გამოცდამ წარმატებით ჩაიარა და მიღებული შედეგები ცხადყოფენ, რომ არის შესაძლებლობა რაკეტა გაშვებულ იქნას დედამიწის ყოველ რაიონში.

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. (საქდესი). ნიუ-იორკის ყველა დილის გაზეთი ათავსებს ცნობებს მოსკოვიდან საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის წარმატებით გამოცდის, აგრეთვე ატომგულისა და თერმოატომგულის იარაღის აფეთქების შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირში მოახდინეს.

გაზეთები „დეილი ნიუსი“ და „დეილი მირორი“ უკომენტაროდ ათავსებენ სააგენტოების მოკლე ცნობებს. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ათავსებს საქდესის ცნობის სრულ ტექსტს, თავისი მოსკოველი კორესპონდენტის სტატიას ამ ცნობის მოყვანით, თავისი მიმომხილველების ბოლდუინისა და შვარცის სტატიებს, აგრეთვე სტატიას ვაშინგტონიდან, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია, რომ „თავდაცვის სამინისტრომ და ავიაციის სამინისტრომ უარი თქვეს მოსკოვის ცნობის შესახებ ყოველგვარ ოფიციალურ კომენტარზე“.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ ათავსებს თავისი ვაშინგტონელი კორესპონდენტის ლამბერტის სტატიას, რომელშიც მოყვანილია საქდესის ცნობა და მოკლე კომენტარები, კერძოდ, სენატორ ჰენრი ჯექსონისა. ჯექსონის აზრით, „არ შეიძლება შევამციროთ“ ამ ცნობის მნიშვნელობა.

„საბჭოთა ცნობა, — წერს ლამბერტი, — როგორც შეიძლება მოველოდეთ, გამოიწვევს მრავალ კომენტარს, და, შესაძლოა, ერთგვარ შეშფოთებას ვაშინგტონში და განსაკუთრებით კონგრესში...“.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სამხედრო მიმომხილველი ბოლდუინი წერს: „ფაქტია, რომ რუსებმა რამდენადმე გაუსწრეს ამერიკის შეერთებულ შტატებს ფრენის საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტების — გიგანტური რაკეტების დარგში, რომლებიც დაფრინავენ ბალისტიკური ანუ ელიპსური ტრაექტორიით, როგორც არტილერიის ყუმბარა, დედამიწის ზედაპირის მაღლა...“.

ინგლისი

ლონდონი, 27 აგვისტო. (საქდესი). საქდესის ცნობა საბჭოთა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის წარმატებით გამოცდის შესახებ ინგლისური პრესის ყურადღების ცენტრშია. ცენტრალური გაზეთების უმრავლესობამ თავისი გვიანდელი გამოშვებანი ხელახლა დააკაბადონა, რათა ეს ცნობა, როგორც უდიდესი მნიშვნელობის ინფორმაცია, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას მოეთავსებინა დიდი სათაურებით.

სათაურებში ყურადღებას აქცევენ იმას, რომ საბჭოთა კავშირი პირველი სახელმწიფოა, რომელმაც შექმნა „მსოფლიო რაკეტი“, როგორც მას გაზეთების უმრავლესობა უწოდებს. ამავე დროს გაზეთები მოგვაგონებენ ამერიკული რაკეტის „ატლასის“ წარუმატებელ ექსპერიმენტულ გაფრენას ამა წლის ივნისში და ინგლისის ჩამორჩენას რაკეტული ტექნიკის დარგში.

ინგლისური პრესა აღნიშნავს, რომ საქდესის ცნობაში ხაზგასმულია საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მიღწეულ იქნას შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისა და აკრძალვის შესახებ.

ბურჟუაზიული გაზეთების კომენტარებში გამოსჭვივის ცუდად დაფარული დაბნეულობა. ისინი ყველანი აღიარებენ, რომ საბჭოთა კავშირის მიერ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის წარმატებით გამოცდა თავდაყირა აყენებს დასავლეთის სახელმწიფოთა მთელ სტრატეგიას.

გაზეთ „დეილი მირორის“ უცხოეთის განყოფილების რედაქტორი კინგი წერს, რომ ცნობა საბჭოთა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის წარმატებით გამოცდის შესახებ „ლახვარია ამერიკის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელებისათვის“.

ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე მცოდნე მიმომხილველი მეცნიერულ საკითხებში ჩეპმენ პინჩერი სტატიაში, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „დეილი ექსპრესში“, საბჭოთა კავშირის წარმატებას საკონტინენტთაშორისო რაკეტების დარგში აფასებს როგორც იმის დადასტურებას, რომ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში საბჭოთა კავშირმა მნიშვნელოვნად გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს. „არც ინგლისელებსა და არც ამერიკელებს, — წერს იგი, — იმედი არა აქვთ, რომ მათმა საკონტინენტთაშორისო რაკეტებმა შეძლონ შეცვალონ ბომბთამშენები უფრო ადრე, ვიდრე ხუთი წლის შემდეგ“.

იტალია

რომი, 27 აგვისტო. (საქდესი). იტალიის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა საქდესის ცნობა საბჭოთა კავშირში საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის წარმატებით გამოცდის, აგრეთვე ატომგულისა და თერმოატომგულის იარაღის აფეთქების შესახებ.

გაზეთი „ტემპო“ სათაურში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მსოფლიოში პირველი საკონტინენტთაშორისო ყუმბარა რუსმა მეცნიერებმა შექმნეს“. სსრ კავშირი, წერს გაზეთი, აღმოჩნდა პირველი ქვეყანა, რომელმაც წარმატებით გამოსცადა ასეთი ყუმბარა. ამავე დროს „ტემპო“ აღნიშნავს, რომ ამა წლის ივლისში შეერთებული შტატების მიერ საკონტინენტთაშორისო რაკეტის გამოცდა წარმატებით არ დაგვირგვინდა.

გაზეთი „პაეზე“ წერს, რომ საბჭოთა კავშირმა „დაადასტურა თავისი უპირატესობა დასავლეთის სახელმწიფოთა წინაში შორი მოქმედების რაკეტების დარგში“. გაზეთი „უნიტა“ საბჭოთა კავშირში საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის შექმნას უწოდებს „საბჭოთა მეცნიერების დიდ წარმატებას“.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების არჩევნები

ფხენიანი, 27 აგვისტო. (საქდესი). დღეს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარეობს უმაღლესი სახალხო კრების—კორეის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები. ქალაქებსა და სოფლებში სადღესასწაულო განწყობილებაა. მცხოვრებნი ყველგან მიემართებიან საარჩევნო უბნებში, რათა თავიანთი ხმები მისცენ ხალხის საუკეთესო შვილებს — უმაღლესი სახალხო კრების დეპუტატობის კანდიდატებს.

ომანის ხალხი გამსჭვალულია მისწრაფებით განაგრძოს ბრძოლა

ომანის იმამის მოადგილის განცხადება

კაირო, 27 აგვისტო. (საქდესი). ომანის იმამის კაიროში მყოფმა მოადგილემ ემირ სალეჰ ბენ ისა ელ-ჰარსიმ გუშინ მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელსაც ბევრი ეგვიპტელი და უცხოელი ჟურნალისტი დაესწრო.

ემირ სალეჰმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ომანის ხალხი აწარმოებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომს და მას მანამდე არ შეწყვეტს, სანამ სრულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას არ მოიპოვებს.

ინგლისის იმპერიალიზმმა, თქვა ემირ სალეჰმა, აგრესია ჩაიდინა ომანის წინააღმდეგ და ომი დაიწყო ომანში. ბრძოლა ომანში გრძელდება და აგრესორები დაუსჯელად ხოცავენ მშვიდობიან მცხოვრებთ.

ომანის იმამის მოადგილემ გულისწყრომით დაგმო შეერთებული შტატების პოლიტიკა, რომლებიც, თქვა მან, „აგრესორების მხარეზე დადგნენ.“

შეეხო რა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა უარს არ დაუშვან უშიშროების საბჭოში განხილვა საკითხისა ომანის საქმეებში ინგლისის ჩარევის შესახებ, ემირ სალეჰმა განსაკუთრებით აღნიშნა არასახარბიელო როლი, რომელიც ამ საქმეში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჰენრი კებოტ ლოჯმა შეასრულა. „შეერთებული შტატების წარმომადგენლის პოზიცია უშიშროების საბჭოში, — თქვა მან, — იყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის პოლიტიკის განგრძობა, რომელმაც იმაზეც კი უარი თქვა, რომ წაეკითხა ომანის იმამის გალებ ბენ ალის მიმართვა შეერთებული შტატებისადმი“. ემირ სალეჰმა განაცხადა, რომ უშიშროების საბჭოს უარმა განეხილა საკითხი ინგლისის აგრესიისა ომანის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ომანელ ხალხს დიდად გაუცრუა იმედი. „გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, — თქვა ემირ სალეჰმა,— რომ მაშინ, როცა გარკვეული წრეები დაჟინებით მოითხოვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეიტანონ უნგრეთის საკითხი, მიუხედავად თვით უნგრეთის მთავრობის მტკიცე უარისა, იგივე წრეები აბრკოლებენ უშიშროების საბჭოში, ომანის ხალხის წინააღმდეგ ინგლისის აგრესიის საკითხის განხილვას. ეს სხვა არა არის რა, თუ არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებათა და მოვალეობის ხელყოფა, რომელიც მოწოდებულია იდგეს მშვიდობის საგუშაგოზე და აღკვეთოს აგრესია“.

ემირ სალეჰმა განაცხადა, რომ არ შეიძლება მშვიდობა ან შეთანხმება მასკატის სულთანთან „მანამდე, სანამ ომანის მიწაზე იქნება თუნდაც ერთი ინგლისელი ჯარისკაცი. ომანის ხალხი იბრძოლებს მანამდე, სანამ არ მოიპოვებს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი მხარს უჭერს ომანის სამართლიან ეროვნულ ბრძოლას“.

ინგლისელ დამპყრობთა ტერორი ომანში

კაირო, 27 აგვისტო. (საქდესი). როგორც ომანის იმამის მოადგილემ ემირ სალეჰ ბენ ისა ელ ჰარსიმ განაცხადა, ინგლისის სამხედრო ხელისუფლებმა ომანში დააპატიმრეს ადგილობრივი ტომების 16 ბელადი, რომლებმაც უარი თქვეს დამპყრობლებთან თანამშრომლობაზე.

ემირ სალეჰმა თქვა, რომ დაპატიმრებულებს, რომელთა შორის არიან ღრმად მოხუცებულნი, შეურაცხჰყოფენ, აბუჩად იგდებენ და აწამებენ კიდევაც.

ომანის იმამის მოადგილემ გულისწყრომა გამოთქვა ინგლისელ ხელისუფალთა მოქმედების გამო და მოითხოვა დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლება. ინგლისის სამხედრო ხელისუფლებმა, თქვა მან, „ომანში ტერორისა და დესპოტიზმის რეჟიმი დაამყარეს“.

„ტუ-104“-ის მომავალი გაფრენა ნიუ-იორკში

ვაშინგტონი. (საქდესი). სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პრესის წარმომადგენლებს გამოუცხადა, რომ მთავრობამ ნება დართო საბჭოთა კავშირის ორ რეაქტიულ სამგზავრო თვითმფრინავს „ტუ-104“ სექტემბერში გაფრინდნენ შეერთებულ შტატებში.

საბჭოთა თვითმფრინავები ჩამოიყვანენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე საბჭოთა დელეგაციის წევრებს 3 სექტემბრიდან 17 სექტემბრამდე.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს იქნება საბჭოთა კავშირის პირველი სამგზავრო თვითმფრინავები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში დაეშვებიან. ნიუ-ფაუნდლენდიდან ნიუ-იორკამდე თვითმფრინავებს გზას გაუკვლევენ ამერიკელი შტურმანები.

ევროპის გუნდური პირველობა ჭადრაკში

ბადენი, 26 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს დილით დაუმთავრებელი პარტიების გათამაშების შემდეგ იუგოსლავიის გუნდის მატჩი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოჭადრაკეებთან დამთავრდა იუგოსლაველი მოჭადრაკეების გამარჯვებით ანგარიშით 7 : 3.

ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირის მატჩში ერთი პარტია კვლავ გადაიდო, შედეგი ჯერჯერობით არის 5,5 : 3,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

საღამოს გაიმართა უკანასკნელისწინა, მეხუთე ტური. მსოფლიოს ჩემპიონი სმისლოვი გუშინდელი მარცხის შემდეგ დიდი აღმავლობით თამაშობდა. მისი მოწინააღმდეგე იყო გერმანელი გროსმაისტერი უნციკერი, რომელმაც წარმატებით ვერ დაიცვა თავის პოზიცია, მატერიალური ზარალი განიცადა და დანებდა. ტალი შავებით თამაშობდა ტეშნერის წინააღმდეგ და მეორეჯერ დაამარცხა იგი. საბჭოთა გუნდს კიდევ სამი ქულა შესძინეს კორჩნოიმ, რომელმაც გაანადგურა კენიგერის პოზიცია, ბრონშტეინმა, რომელმაც კომბინაციურ გართულებაში აჯობა შმიდტს და სპასკიმ, რომელმაც კარგად გამოიყენა ლემანის შეცდომები.

არონინმა მშვენივრად ჩაატარა იერიში გილგის წინააღმდეგ და გამარჯვება მოიპოვა. ტაიმანოვმა ენდშპილში გადამწყვეტი უპირატესობა მიიღო და მოუგო ჰაინიკეს. დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მატჩის ანგარიშია 8,5 : 1,5 საბჭოთა კავშირის გუნდის სასარგებლოდ.

იუგოსლავიის მოჭადრაკეები უგებენ ჩეხოსლოვაკიის გუნდს, ჯერჯერობით ანგარიშია 5,5 : 3,5.

ოსტატი **ლ. აბრამოვი.**

უცხოელი ტურისტები ბათუმში

ბათუმი. (საქ. კორ.). ამ დღეებში განსაკუთრებული გამოცოცხლება იყო ბათუმის ნავსადგურში. აქ თითქმის ერთდროულად მოვიდა რუმინეთის გემი „ტრანსილვანია“ და საბერძნეთის თბომავალი „ჰერმესი“, რომელმაც წელს ბათუმამდე პირველი რეისი გააკეთა და 200-მდე ფრანგი ტურისტი ჩამოიყვანა. მარსელი, ვენეცია, პირეი, სტამბოლი, ოდესა, იალტა, სოჭი — აი როგორი იყო ფრანგ ტურისტთა მარშრუტი. ჩამოსულთა შორის იყვნენ მრავალი პროფესიისა და საქმიანობის ადამიანები — სახელმწიფო დაწესებულებათა თანამდებობის პირები, ვაჭრები, განათლების, მედიცინის და სხვა დარგის მუშაკები, სტუდენტები. ბევრი რამ საინტერესო და სამახსოვრო ნახეს ფრანგმა ტურისტებმა ბათუმში და შავი ზღვის აჭარის სანაპიროზე, იყვნენ ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, აჭყვის ჩაის ფაბრიკაში, ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ბათუმის ზღვის პირა პარკსა და პიონერთა პარკში, სადაც მწვანე თეატრში დაესწრნენ პიონერული მხატვრული თვითმოქმედების კონცერტს. იმავე დღეს საღამოს „ჰერმესი“ უკან გაემგზავრა.

რუმინეთის გემმა „ტრანსილვანიამ“ ბათუმში ჩამოიყვანა 350 ტურისტი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკიდან. ეს იყო „ტრანსილვანიის“ პირველი ტურისტული რეისი ამ სეზონში. რუმინელმა ტურისტებმა გამოიარეს კონსტანცა, ვარნა, ოდესა, იალტა, სოჭი. ტურისტთა შორის იყვნენ მუშები, მოსამსახურეები, კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები. რუმინელი ტურისტები გზადაგზა დიდი ინტერესით გაეცნენ საბჭოთა შავიზღვისპირეთის მდიდარ და მრავალფეროვან ბუნებას, კურორტებსა და ქალაქებს.

ბათუმში რუმინელმა მეგობრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობასა და № 1 ჩაის ფაბრიკაში, ბოტანიკურ ბაღში. ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა პარკში სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ პიონერები, მათ შორის რუსთავის მოსწავლეები, რომლებიც მახინჯაურში ისვენებდნენ. ტურისტებმა თბომავალ „პიონერით“ ისეირნეს პარკის ტბაზე. საღამოს „ტრანსილვანიამ“ კურსი აიღო სოხუმისაკენ.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ფრანგი ტურისტები ბათუმის პიონერთა პარკში. ქვემოთ — ქალაქ ბათუმის მცხოვრებნი აცილებენ ფრანგ ტურისტებს.

ფოტო ვ. გრიშჩენკოსი.

საბჭოთა პროფკავშირების 50 წლისთავის აღსანიშნავად

27 აგვისტოს თბილისში ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეჯიბრებები, მიძღვნილი სსრ კავშირის პროფკავშირთა 50 წლისთავისადმი.

საინტერესოდ ჩაიარა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდისა და პროფკავშირთა ნაკრები კოლექტივის შეხვედრამ. იგი დამთავრდა ანგარიშით 2 : 1 დინამოელთა სასარგებლოდ.

ფეხბურთში შეჯიბრების შემდეგ მოეწყო საჩვენებელი გამოსვლა თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „კოლმეურნის“ და სხვა სასპორტო საზოგადოებათა სპორტის ოსტატებმა და თანრიგოსანმა სპორტსმენებმა. (საქდესი).

საერთაშორისო შეხვედრა

სტალინიში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში ადგილობრივი „შახტიორისა“ და „ბანიკის“ (ქ. კლადნო, ჩეხოსლოვაკია) გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 5:0.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ბ“ კლასი

27 აგვისტოს ქუთაისში გაიმართა შეჯიბრება ფეხბურთში „ბ“ კლასის მესამე ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივისა“ და ქ. კიროვის „დინამოს“ გუნდები. გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა ანგარიშით 3:0.

საქართველოს მცურავთა წარმატება

მოსკოვში რამდენიმე დღეა გრძელდება სსრ კავშირის პირადგუნდური პირველობის გათამაშება ცურვაში. შეჯიბრებაში წარმატებით გამოდიან საქართველოს სპორტსმენები.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ბ. ნიკიტინმა 400 მეტრზე ნებისმიერი სტილით ფინალურ ცურვაში წარმატებით დაამთავრა დისტანცია და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა — აჩვენა დრო 4 წუთი და 30,1 წამი. ვაჟთა შორის 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს სპორტსმენმა ა. ანტონიანმა. დრო — 2 წუთი და 40,8 წამი.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

საერთაშორისო თემაზე

ამერიკის შეერთებული შტატების ხრიკები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში

უკანასკნელი დროის ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ეგვიპტეზე ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიის ჩაშლის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ახალი შეტევა დაიწყეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალების წინააღმდეგ არა მარტო ახლო და შუა აღმოსავლეთში, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშიც. გაძლიერდა ამერიკის შეერთებული შტატების ძირგამომთხრელი მუშაობა ინდონეზიაში, ინდოეთში, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გაჩნდა ლაოსის საშინაო საქმეებში ჩარევის ახალი გეგმები და სხვ.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ხრიკები, უწინარეს ყოვლისა, გამოიწვია იმპერიალისტური სახელმწიფოების მარცხმა აზიაში და, კერძოდ, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. თავიდანვე ნაცვლად პროექტით გათვალისწინებული აგრესიული ბლოკისა, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ აზიის ძირითად სახელმწიფოებს, იშვა ნაბუშარი — სეატო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აზიის მხოლოდ სამმა სახელმწიფომ, რომელთა მოსახლეობა აზიის მოსახლეობის მხოლოდ მეათედ ნაწილს შეადგენს (პაკისტანი, ტაილანდი და ფილიპინები). „დაბადებიდანვე მკვდარი“, — ასე შეაფასა სეატოს ბლოკი ინდონეზიურმა გაზეთმა „პერიტა ინდონეზიამ“.

მარცხით დამთავრდა აგრეთვე ცდა თვითნებურად გაევრცელებინათ სეატოს მოქმედება ინდო-ჩინეთის სახელმწიფოებზე, კერძოდ, კამბოჯასა და ლაოსზე, რომლებმაც ჟენევის 1954 წლის თათბირის გადაწყვეტილებით არ უნდა მიიღონ მონაწილეობა სამხედრო კავშირებში და მათ ტერიტორიაზე არ უნდა იყოს უცხოეთის სახელმწიფოთა სამხედრო ბაზები. კამბოჯისა და ლაოსის მთავრობებმა გადაჭრით განაცხადეს, რომ მშვიდობისა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკას განახორციელებენ და მონაწილეობას არ მიიღებენ სამხედრო კავშირებში. თვით სეატოს ბლოკის წევრთა შორისაც — პაკისტანში, ტაილანდში და ფილიპინებზე იზრდება მისწრაფება თავი დააღწიონ ამერიკის კაბალურ შეთანხმებებს და გაატარონ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. მაგალითად, პაკისტანმა უარი თქვა სეატოს ქვეყნების შარშანდელ მანევრებში მონაწილეობის მიღებაზე, ფილიპინების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მოითხოვა ამერიკისა და ფილიპინების ეკონომიური და სამხედრო შეთანხმებების გადასინჯვა, ხოლო ტაილანდში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის ხმები სეატოს ორგანიზაციაში მონაწილეობის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს უკმაყოფილებას იწვევენ ინდოეთი და ინდონეზია, ბირმა და ცეილონი, რომელთა მთავრობები დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ახორციელებენ, უარს ამბობენ სამხედრო კავშირებში მონაწილეობაზე და ისწრაფვიან შექმნან დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკა. მაგალითად, ინდოეთში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ნაციონალური შემოსავალი გაიზარდა 18 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება — 15 პროცენტით, სამრეწველო პროდუქციის წარმოება — 32 პროცენტით მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული ბირმის, ინდონეზიის და აზიის სხვა ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნები სულ უფრო მტკიცედ ეწინააღმდეგებიან იმ შეზღუდვებს, რომლებიც მათ იმპერიალისტებმა თავს მოახვიეს სოციალისტურ ბანაკთან ვაჭრობაში. მიუხედავად ამერიკული ემბარგოსი, ინდონეზიას, მალაიასა და სინგაპურს კაუჩუკი გააქვთ ჩინეთში. ინგლისი და მთელი რიგი სხვა ქვეყნები უკვე დაადგნენ ჩინეთთან ვაჭრობის გზას. სწორედ ამიტომ დალესი ასე გაბოროტებით გამოდის „აზიაში კომუნიზმისა და ნეიტრალიზმის წინააღმდეგ“, მოითხოვს კოლონიური რეჟიმების შენარჩუნებასა და რესტავრაციას და ამერიკის შეერთებულ შტატებს აკუთვნებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში „წესრიგის დამმყარებლის“ ანუ ჟანდარმის როლს. ეს რაიონი ამერიკის სამხედრო სტრატეგების გეგმებში უნდა გახდეს „ეიზენჰაუერის დოქტრინის მარჯვენა ფლანგი“.

„აზიაში კომუნიზმთან და ნეიტრალიზმთან ბრძოლის უფრო მკაცრი ზომების“ ერთ-ერთი პირველი გამოვლინება იყო ინდონეზიის მთელ რიგ პროვინციებში რეაქციული სამხედრო წრეების გამოსვლა. ამბოხება მოხდა სულავესიზე (ცელებესზე) და სამხრეთ სუმატრაზე.

რეაქციულ სამხედრო წრეებთან ერთად ამბოხებაში მონაწილეობა მიიღო ტერორისტულმა ბანდამ „დარ-ულ-ისლამმა“, რომლის მეთაურია „იმამი“ კარტოსუვირიო. ეს ბანდა მოქმედებს დასავლეთ იავაში, სუმატრაზე, სულავესიზე და სხვა კუნძულებზე და თავისი „საელჩოც“ კი ჰყავს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ბანდა იარაღს იღებდა ჰოლანდიისა და ამერიკის შეერთებული შტატებისაგან. მეამბოხეებთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული რეაქციული პარტიების, უწინარეს ყოვლისა, მაშუმის ლიდერები და მემარჯვენე სოციალისტები. ამბოხებას აფინანსებდნენ ამერიკის ნავთობის კომპანიები, კერძოდ, კალტექსი და სხვ.

ინდონეზიაში მომხდარმა ამბოხებამ ნიღაბი ჩამოხადა იმ ძირგამომთხრელი საქმიანობის ორგანიზატორებს, რომელიც მიმართულია ინდონეზიის დამოუკიდებლობისა და მისი დემოკრატიული განვითარების წინააღმდეგ. ამბოხების მიზანი იყო ინდონეზიის ტერიტორიაზე შექმნა ძირგამომთხრელი და დივერსიული მუშაობის კერა ამ ქვეყნის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ. ეგრეთწოდებული „ორი ჩინეთის“ პოლიტიკა იმპერიალისტებს სურთ გაავრცელონ ყველა ქვეყანაზე, რომლებმაც მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა და აშენებენ საკუთარ ეროვნულ ეკონომიკას.

ამერიკის შეერთებული შტატები არ ფარავენ, რომ მათი ამოცანაა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში შექმნან იმგვარივე რეჟიმები, როგორიც არის სამხრეთ ვიეტნამში, სამხრეთ კორეასა და ტაივანზე.

ამის შემდეგ არ უნდა გვიკვირდეს ამერიკელი იმპერიალისტების ცდები ჩაშალონ დაზავება კორეაში, მათი ჰაპანწყვეტა ქაშმირის საკითხის გარშემო იმ მიზნით, რომ ინდოეთს ჩამოაცილონ მისი ეს ძველისძველი ტერიტორია, ჰაპანწყვეტა იმის გარშემო, რომ მხარი დაუჭირონ სამხრეთ ვიეტნამის მმართველ წრეებს ინდოჩინეთის საკითხის შესახებ ჟენევის გადაწყვეტილებათა ჩაშლაში, იმის გარშემო, რომ ახალი ზეგავლენა მოახდინონ ლაოსის მთავრობაზე და ხელი ააღებინონ მას ნეიტრალიტეტის პოზიციაზე. ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ მუდმივი გახადონ პორტუგალიის ბატონობა გოაში და ჰოლანდიის ბატონობა დასავლეთ ირიანში, რათა ამ გზით შეინარჩუნონ აგრესიისა და ძირგამომთხრელი მუშაობის კერები.

როგორც მიმდინარე წლის მარტში გულისტკივილით წერდა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს წევრი დუგლასი, ამერიკელი იმპერიალისტები თავიანთ ხრიკებში ემყარებიან „დაჩანჩაკებულ მილიტარისტებს და მჭიდრო კავშირს აზიის რეაქციულ ელემენტებთან“. ფუჭი ცდაა! აზიის დაჩანჩაკებულ მილიტარისტებთან მჭიდრო კავშირი ვერ შეაჩერებს იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლას.

დ. ზავრიევი,
პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

ტელეგადაცემათა პროგრამა

29 აგვისტოსათვის

20.00 — კინოჟურნალები, 20.20—მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე ოქროს მედლით დაჯილდოებული მხატვრული ფილმი „ჩვენი ეზო“ (რუსული ვარიანტი).

მეუღლე გერასიმე, შვილები დავით, გიორგი, რძლები ანა, გალინა შვილებით იუწყებიან
ოლღა გლახუნას ასულ გიორხელიძე-ჯინჭარაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30-VIII, 8 ს. გამოსვენება 31-VIII, 5 ს. კალინინის ქ. № 45.

გივი, მანია, ვერა, ლოლა, ცუცა ბახტაძეები ოჯახებით იუწყებიან
ნინო პავლეს ასულ ბახტაძე-ფალავას
გარდაცვალებას. გამოსვენება სოფ. ხოვლედან 31-VIII. დაკრძალვა თბილისში 5 ს. კუკიის სასაფლაოზე.

შვილები საშა, ოლია, ნინო, სიძე ე. აბულაძე ოჯახებით იუწყებიან
ევგენია ლუკას ასულ ზაქარაიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30-VIII, 8 ს. გამოსვენება 31-VIII, 5½ ს. უნივერსიტეტის ქ. № 29.

შვილები თამარ, მარიამ თავაძეები; კონსტანტინე, მიხეილ დიდიძეები ოჯახებით იუწყებიან
ოლღა ილიას ასულ თავაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 29-VIII, 6½ ს. კლარა ცეტკინის ქ. № 92-ა.

მოქალაქე **ანა დავითის ასულმა მიქიაშვილმა,** მცხოვრებმა სვანეთის ქ. № 5, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნიკოლოზ ანტონისძე გოგრიჭიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ვანო ალექსის-ძე სომხიშვილმა,** მცხოვრებმა სოფელ ნორიოში, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **თამარ ალექსის ასულ ძამაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის გარეუბნის რაიონის სახალხო სასამართლო.

შვილები თინა, გიორგი, დები ქეთო, ოული, ძმები ამბაკო, ნიკოლოზ, გრიგოლ, სიძე ტ. დადუნაშვილი, რძალი მარგალიტა შვილებით იუწყებიან
ნატალია იოსების ასულ ხაზარაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-VIII, 8 ს. თბილისში, ნორიოს აღმართი № 2, დაკრძალვა 1-IX, 4 ს. ქ. ქუთაისში, გამოსვენება ბინიდან, წულუკიძის ქ. № 19.

შვილები მარო, თინა, შალვა, რძალი ნადია, ძმა გიორგი, სიძეები გ. ლოლობერიძე, გ. გურგენიძე, მ. გონგლაძე, შ. ბოკუჩავა ოჯახებით იუწყებიან
ეკატერინე ივანეს ასულ კაკაბაძე-კობიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-VIII, 4 ს. სოფ. ზემო ბოდბეში (სიღნაღის რ.).

მეუღლე სონა, შვილები შურა, რიმა, რძალი მარო, სიძეები ა. ბასიაშვილი, თ. ბერიძე იუწყებიან
გაბრიელ მოსეს-ძე ოსეფაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-VIII, 3 ს. სოფ. ქვემო ნიჩბისში (მცხეთის რ.).

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეები — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი, — 3 06 88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3 16-90. სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3 80 84. საბჭოთა მშენებლობის. კორესპონდენტთა ქსელის — 3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტმშენებლობის — 3-72-80, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3 80 83 წერილების — 3-73-24. განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81 65, გამომცემლობის დირექტორის — 3 65 41 სტამბის დირექტორის — 3 77-70

უე 03616 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.